

საქართველო



საქართველიან დამატება

გაზეთის № 438. კვირა, 30 ოქტომბერი 1911 წ. დამატების № 77

სოცხალი გვამი

დრამა 6 მოქმედებად და 12 სურათად

ლ. ნ. ტოლსტოისა.

(შემდგომი *)

მოქმედება მეხამე

სურათი პირველი.

მოქმედების ბიძის:

თავადი აბრეჯკოვი, 60 წლის მოხდენილი მარტოხელი მამაკაცი, წვერ მოპარსული და უღვავებოანი, სამხედრო სამსახურში ნამყოფია; თავი უტირავს მოწყენით, მაგრამ დიდის ღირსებით. ანნა დიმიტრიევნა კარენინი (ვიქტორის დედა), 50 წლის grande dame-ა, მაგრამ თავს იახლავდავებს. საუბრის დროს ფრანგულ სიტყვებს ურევს. ლაქია, ვიქტორა, ლიზა.

ანნა დიმიტრიევნას კაბინეტი, სადა იგი და მშვენიერი, საესეა მიძღვნილ ნივთებით (სუვენირებით).

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

ანნა დიმიტრიევნა (წერდას სწერს).

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

ანნა დიმიტრიევნა და ლაქია.

ლაქია. თავადი სერგო დიმიტრიევინი.

ანნა დიმიტ. რაღა თქმა გინდათ. (მობრუნდება და საკრის წინ თავს იფარავს).

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

თავადი აბრ. (შემოსვლისას). — J'espère, que je ne force pas la consigne (სჯულებას).

ანნა დიმიტ. თქვენ იცით, რომ vous êtes toujours le bienvenu; და დღეს განსაკუთრებით. თქვენ ხომ მიიღეთ ჩემი ბარათი?

თავ. აბრ. მივიღე და აი ჩემი პასუხი.

ანნა დიმიტ. ოხ, ჩემო მეგობარო, მე ლამის სასოწარკვეთილებას მივეცე. Je suis ensorcelé, positivement ensorcelé. იმისი მე არას დროს არ მინახავს ამგვარი ხასიათის სიმტკიცე, შეუბრალებლობა, უგულობა ჩემდამი. მთლად გამოიცვალა იმის შემდეგ, რაც იმ ქალმა ქმარს თავი მიანება.

თავ. აბრ. როგორ? როგორაა საქმე?

ანნა დიმიტ. ისეა, რომ რაც უნდა მოხდეს, უნდა შეირთოს.

თავ. აბრ. მერე ქმარი?

ანნა დიმიტ. ეყრება.

თავ. აბრ. აი, თურმე რა ყოფილა!

ანნა დიმიტ. და მერმე ვიქტორი სულ აღარაფერს ერიდება მთელ ამ ქუქკს, ვეკილებს, დანაშაულის დამტკიცებას. Tout ça est degoutant. და ამას არ ერიდება ვიქტორი. მე იმისი ველარა გამივია რა. როგორი წინდახედული იყო, მშიშარა...

თავ. აბრ. ეტყობა, უყვარს. ოხ, თუ რომ კაცს მართლა უყვარს, მაშინ...

ანნა დიმიტ. კარგი, მაგრამ რატომ ჩვენ დროში სიყვარული შეიძლება ყოფილიყო წმიდა, სიყვარული—მეგობრული, რომელიც გრძელდებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში? აი ესეთი სიყვარული მესმის და ვაფასებ.

თავ. აბრ. ეხლანდელი ახალი თაობა ველარ დაკმაყოფილებულა იდეალურის განწყობილებით. La possession de l'âme ne leur suffit plus. რას იზავთ! მაგრამ ეხლა რა ნოუბერბოს იმას კაცმა?

ანნა დიმიტ. არა, იმაზე ნულარას იტყვიან... ეს რაღაც ჯადოქრობაა. თითქოს იგი მთლად გამოიცვალა მერე წარმოიღვინეთ მე ხომ ვიყავი იმ ქალთან. ვიქტორმა ძალიან მთხოვა. ვიყავი, მაგრამ სახლში არ დამხვდა, სადარბაზო ბარათი დაუტოვე, Elle m'a fait demander si je ne pourrais la recevoir. და დღეს (დახედავს საათს) მეორე საათზე, მაშასადამე, ეხლა უნდა მოვიდეს კიდევ. ვიქტორს შეევირდი, რომ მივიღო, მაგრამ არ გინდათ გაიგოთ ჩემი მდგომარეობა? ეხლა მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. და, ძველი ჩვეულებისამებრ, თქვენ დაგიბარეთ. თქვენი დახმარება მჭირდება.

თავ. აბრ. გმადლობთ.


ანნა დიმიტ. ხო გესმით, რომ იმ ქალის აქ მოსვლა გადასწყვეტს მთელ საქმეს, — ვიქტორის ბედს. მე ან არ უნდა დავთანხმდე... მაგრამ როგორ შევძლო?

თავ. აბრ. თქვენ იმ ქალს სრულიად არ იცნობთ?

ანნა დიმიტ. არას დროს არ მინახავს. მაგრამ მეზინიან კი იმისი. არ შეუძლიან კარგ დედაკაცს დათანხმდეს და მიატოვოს ქმარი, ისიც კარგი ადამიანი. ის კაცი ხომ ვიქტორის ამხანაგა და წინად ჩვენსას დაიარებოდა ხოლმე. ძალიან სიზატიური კაცი იყო. და ან როგორიც გინდა იყოს! Quels que soient qu'il a eus vis-à-vis d'elle, არ შეიძლება ქმრის მიატოვება. უნდა ატარო შენი უღელი. ერთი რამ ვერ გამივია, როგორ შეუძლიან ვიქტორის რწმენის კაცს დასთანხმდეს და შეირთოს ქმარ-გაყრილი დედაკაცა. ის რამდენჯერ ჩემთან ეკამათებოდა ხოლმე, სპიციის და უმტკიცებდა, რომ გაყრა არ ეგუებოდა ქეშმარიტ ქრისტიანობას და ეხლა კი, აი, თვით იქცევა. Si elle a pu le charmer au tel point... მე იმ ქალისა მეზინია. მართლა, მე თქვენ დაგიძახეთ რჩევის მოსახმენად და სულ კი მე ვცებ-

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 76.

სოცხალი გვამი.



თავ. აბრეჯოვი (ვიქტორს).—კმარა, ვიქტორ. დედაშენი სიტყვი-
ერთ უარესს ლაპარაკობს, ვიდრე საქმით აკეთებს ხოლმე.
(მესამე მოქმედების პირველი სურათი).

დობ. თქვენ როგორ ფიქრობთ? სთქვით, როგორ მო-
ვიქცეთ? თქვენ არ ელოპარაკეთ ვიქტორს?

თავ. აბრ. ველაპარაკე. და ჩემის აზრით, ვიქტორს უყვარს
ის ქალი; და, ვიქტორის ბუნება ხომ ისეთია, რომ თუმა-
ცა ნელა, მაგრამ საფუძვლიანად კი ითვისებს. რაც კი
დაისადგურებს იმის გულში, იქიდან აღარ დაიძვრის.
იმ ქალის მეტს არავის შეიყვარებს და უიმიოსთ
ვერც ბედნიერი იქნება სხვასთან.

ანნა დმიტ. მაშ, ვარია კახანცევა არ გაჰყვებოდა ვიქტორს.
მერე რა ქალია და როგორ უყვარს!..

თავ. აბრ. (დამიჯთ) C'est compter sans son hôte. ეგ ეხ-
ლა ყოვლად მოუხერხებელია. დი მეც ვფიქრობ, სჯო-
ბია ბედის დამორჩილება და ხელის მომართვა, რომ
შეიერთოს.

ანნა დმიტ. ქმარ-გაყრილი, რომ შემდეგ შეხვდეს ხოლმე
ქმარს თავის ცოლისას? მე არ მესმის, როგორ შეგი-
ძლიანთ გულდამწვინებით ილაპარაკოთ მაგაზე. ნუ თუ
ეგ ისეთი ქალია, რომელიც ცოლად უნდა უსურვოს
დედამ თავის ერთადერთ შვილს და მერე ასეა შვილს?

თავ. აბრ. რას იზამთ, ტურფა მეგობარო? რა თქმა უნდა,
ემჯობინებოდა შეერთო ისეთი ახალგაზრდა ქალი, რა-
მელსაც კარგად იცნობთ, გიყვართ. მაგრამ თუ ეგ
შეუძლებელია... და ამასთანავე, მაგას რომ შეერთო
ბოშის ქალი, ან იმისთანა ვინმე... ღიზა პროტასოვი-
სა კი—ძალიან კარგი, ჩინებული დედაკაცია. ჩემი
დისწულის ნელლისგან ვიცნობ იმ ქალს: მორჩილი,
კეთილი, მოსიყვარულე და ზნეობიანი ადამიანია.

ანნა დმიტ. კარგი ზნეობიანი დედაკაცია, რომელიც ქმარს
თავს ანებებს!?

თავ. აბრ. ველარა გცნობთ. თქვენ გულკეთილობას არ
იჩენთ, სასტიკი ხართ. იმ ქალის ქმარი ერთი იმ ადა-
მიანთაგანია, რომლისასაც იტყვიან ხოლმე, რომ თა-
ვის თავის მტერიოა. მაგრამ ის უფრო მეტად ცოლის
მტერი იყო. სუსტი, სრულიად დაცემული, ლოთი კა-
ცია. იმან თავისი ცოლისა მთელი ქონება გაფლანგა.
და იმ ქალს შეილიცა ჰყავს... აბა, როგორ უნდა გაჰ-
კიცხოთ დედაკაცი, რომელმაც მიატოვა ისეთი ქმარი?
და ისიც ქალმა კი არა, კაცმა უაანება თავი.

ანნა დმიტ. ოხ, რა წუშპეა, რა წუშპე! და მეც კი უნდა
შიგ ვისყრებოდე.

თავ. აბრ. თქვენი სარწმუნოება?
ანნა დმიტ. ხო, ხო, მიტევება.
„ვითარცა ჩვენ მიუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა (მაგ-
რამ ეს ჩემს ძაღლს ადუმი-
ტებს). Mais c'est plus fort que
moi.

თავ. აბრ. აბა, როგორ უნდა ეც-
ხოვრა ქალს იმისთანა კაცთან?
იმას სხვაც რომ არ ჰყვარე-
ბოდა, მაინც ისე უნდა მო-
ქცეულიყო. ეს იყო საჭირო
ბავშვისთვის. თვით ქმარიც
ჰკვიანო, კეთილი კაცია და
როცა თავის ჰყვანე არის
ხოლმე თვითვე ურჩევს ცოლს,
ისე მოიქცეს...

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

ანნა დმიტრიევნა, თავ. აბრეჯო-
ვი, შენთვის ვიქტორი (დღას
სჯელზე ჰკოცნის და სადამს აძ-
ლევს თავ. აბრეჯოვის).

ვიქტორი. დედა ჩემო, შემოვიარე, რომ ერთი რამ გით-
ხრათ: ეხლა აქ ელიზავეტა ანდრეევნა მოვა და მე
თქვენ ერთ რამესა გთხოვთ, გემუდარებით: უკეთუ
თქვენ თანახმა არა ხართ ჩემს დაქორწინებაზე.

ანნა დმიტ. (აწუგავინებს).—რა თქმა უნდა, რომ თანახმა
არა ვარ.

ვიქტორი (განაკრძობს სიტყვას და მოაუშვით).... მაშინ
გთხოვთ, გემუდარებით ერთს: ნურაფერს ეტყვიოთ იმას
თქვენს უთანხმოებაზე, უარით, საქმეს ნუ გადასწვებთ.

ანნა დმიტ. მე ვფიქრობ, რომ მაგ საგანზე მუსაიფსაც კი
არ დავიწყებთ. მე მაინც არ ვაპირებ.

ვიქტ. ის მით უმეტესად. მე მხოლოდ მინდოდა, გაგეცნოთ.

ანნა დმიტ. ერთი რამ არ მესმის: შენ როგორ ათავსებ
ერთად შენს სურვილს შეერთა ცოცხალ-ქმრიანი ქალი
პროტასოვისა შენს რელიგიურ რწმენასთან, რომ გა-
ყრა წინააღმდეგია ქრისტიანობისა?

ვიქტ. დედა-ჩემო, ეგ სასტიკობა თქვენის მხრით! ნუ თუ
ჩვენ ყველანი ისეთი უცოდველნი ვართ, რომ არ უნ-
და წავიდეთ რწმენის წინააღმდეგ, როდესაც ცხოვრება
ასე რთულია? დედა, რისთვის იჩენთ ჩემთან მაგეთ
სისასტიკეს?

ანნა დმიტ. მიყვარხარ და ბედნიერება მსურს შენთვის.

ვიქტ. (აბრეჯოვის).—სერგეი დმიტრიევიჩ!

თავ. აბრ. რა თქმა უნდა, თქვენ ბედნიერება გწადიანთ მა-
გისთვის, მაგრამ ჩვენ ჩვენის ქალაჩითა, ეხლა ძნელად
გავიგებთ ახალგაზრობისას. განსაკუთრებით კი ძნელია
ეს დედისთვის. ყველა დედაკაცები ასეთია.

ანნა დმიტ. აი, არა ვსთქვი. ყველა ჩემი წინააღმდეგია. რა
თქმა უნდა, შენ შეგიძლიან ჩაიღინო ეგ, Vous êtes
maître... მაგრამ მაგით ბოლოს მომიღებ.

ვიქტ. ველარა გცნობთ. ეგ რომ სისასტიკეზე უარესია.

თავ. აბრ. (ვაქტორს).—კმარა, ვიქტორ. დედაშენი სიტყვი-
ერთ უარესს ლაპარაკობს, ვიდრე საქმით აკეთებს,
ხოლმე.

ანნა დმიტ. მე ვიტყვი, რასაც ვფიქრობ და ვგრძობ და ჩე-
მის ნათქვამით კი არ შეურაცხყოფ იმ ქალს.

თავ. აბრ. ეგ ქეშმარიტებაა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა V.

ანნა დმიტრიევნა, თავ. აბრეჯოვი, ვიქტორი და ლქია (შე-
მოდის)

თავ. აბრ. ალბად ის ქალია.

ვიქტ. მე გავალ.

ლაქია. ელიზავეტა ანდრეევნა პროტასოვისა.

ვიქტ. მივლივარ. დედა, გეთაყვა. (გადის).

თავ. აბრ. (ადგება).

ანნა დმიტრ. სთხოვეთ (თავ. აბრეზკოვს) არა, თქვენ უნდა დარჩეთ.

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VI.

ანნა დმიტრეევნა და თავ. აბრეზკოვი.

თავ. აბრ. მე მეგონა, თქვენთვის უფრო ადვილი იქნებოდა Tête-à-tête (ბიძისთან შეხვედრა).

ანნა დმიტრ. არა, მე იმისი მეშინიან (ფაფურებს). თუ მოვისურვე იმასთან დარჩენა tête-à-tête, თქვენ განიშნებთ. Ça dépendra... თორემ მე რომ იმასთან მარტო დავრჩე,—ეს მე ცოტა არ იყოს შემბოქვავს. მაშინ კი ასე განიშნებთ (ანგუნებს ნიშანს).

თავ. აბრ. მივხვდები. დარწმუნებული ვარ, რომ ეგ ქალი თქვენც მოგეწონებათ, მხოლოდ სამართლიანად მოექცეით.

ანნა დმიტრ. რათა ხართ ყველანი ჩემს წინააღმდეგ!

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VII.

ანნა დმიტრეევნა, თავ. აბრეზკოვი. (შემოდის ღიზა, შფაპით და სადაბაზო ტანსაცმელში).

ანნა დმიტრ. (წამოაწყვს).—უნანობდი, რომ სახლში ვერა განახეთ, მაგრამ თქვენ ისე კეთილი ყოფილხართ, რომ მობრძანდით.

ღიზა. მე სრულებით არ მოველოდი. დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ მოისურვეთ ჩემი ნახვა.

ანნა დმიტრ. თქვენ იცნობთ? (ანგუნებს თავად აბრეზკოვზე).

თავ. აბრ. როგორ არა, მე უკვე მქონდა პატივი გაცნობისა (დასხდებიან) ჩემი დისწული ნელლი ხშირად მელაპარაკება ხოლმე თქვენზე.

ღიზა. დიახ, ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით (მოკრძალებით გადახედვს ანნა დმიტრეევნას). ეხლაც მეგობრები ვართ. (ანნა დმიტრეევნას) სრულიად არ მოველოდი, რომ თქვენ ინებებდით ჩემს ნახვას.

ანნა დმიტრ. კარგად ვიცნობდი თქვენს ქმარს. ის ვიქტორთან მეგობრულ განწყობილებაში იყო და ჩვენსა დაიარებოდა ხოლმე, ვიდრე გადასახლდებოდა ტამბოვში. მგონი იქ შეგიერთათ?

ღიზა. დიახ, იქ დავიწირეთ ჯვარი.

ანნა დმიტრ. და შემდეგ კი, როდესაც მოსკოვში გადმოსახლდა, უკვე აღარ დაიარებოდა ჩვენსა.

ღიზა. დიახ, ის თითქმის არსად დაიარებოდა.

ანნა დმიტრ. და იმან მე და თქვენ არც კი გავგაცნო ერთმანეთი. (უხეკხუჯი სიწმუე).

თავ. აბრ. უკანასკნელად მე თქვენ შეგხვდით დენისოვიანთ წარმოდგენაზე, კარგად ჩაიარა. თქვენც თამაშობდით.

ღიზა. არა... ჰო... როგორ არა... მახსოვს. მეც ვთამაშობდი. (სიწმუე). ანნა დმიტრეევნა, მაპატიეთ, უკეთუ თქვენთვის უსიამოვნოდ დარჩება, რასაც ეხლა მოგახსენებთ, მაგრამ არ შემიძლიან, არ ვიცი პირმო-

თნობა. იმიტომ მოველი, რომ ვიქტორ მიხაილოვიჩმა მითხრა... იმიტომ, რომ იმას, ესე იგი იმიტომ, რომ თქვენ გინდოდათ ჩემი ნახვა... მაგრამ სჯობია ყველაფერი ითქვას... (აჭვათინდება) ჩემთვის ძალიან სამძიმოა... თქვენ კი ეგეთი კეთილი ხართ.

თავ. აბრ. ემჯობინება ჩემი გასვლა.

ანნა დმიტრ. დიახ, გადით.

თავ. აბრ. ნახვამდის! (აჩიფეს ემშვიდობება და გადის).

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VIII.

ანნა დმიტრეევნა და ღიზა.

ანნა დმიტრ. მომისმინეთ ღიზა... არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, თქვენი მამის სახელი.

ღიზა. ანდრეევნა.

ანნა დმიტრ. ევ სულ ერთია,—ღიზა. თქვენ მე მეგობრებით, თქვენ ჩემთვის სიმპატიური იდამიანი ხართ. მაგრამ ამასთანავე მე ვიქტორი მიყვარს. ქვეყანაზე ვგერთად ერთი არსება მიყვარს. იმის გულსა და სულს ისე ვიცნობ, როგორც ჩემსას. იმას ამაყი სული აქვს. ის ამაყი იყო, როდესაც ჯერ შვიდი წლის ბალანა არც კი იქნებოდა. ამაყია სახელით კი არა, არც სიმდიდრით, არამედ ამაყია თვისი უმწიკველობით, თვისი ზნეობრივი სიმაღლით; რომელიც დღეს აქნობამდე შეურჩენია. ის წმინდაა, როგორც ქალწული.

ღიზა. ვიცი.

ანნა დმიტრ. მაგას ჯერ ქალი არ ჰყვარებია. თქვენ პირველი ხართ. არ გეტყვით, რომ მე თქვენზე არ ვიქვენეულობდე. ვიქვენეულობ, მაგრამ ჩვენ მშობლები ვართ,—თქვენ ჯერეთ პატარა გყავთ,—ჩვენ ამისთვის ვემზადებოდით. მეც იმისთვის ვემზადებოდი, რომ იგი გადამეცა ცოლისთვის და დამშვიდებულიყავი. მაგრამ

ს მ მ ხ ა ლ ი გ ვ ა მ ი.



ნახტახია ივანოვნა, დაიხურე მანდილი და გამოსწი ეხლავე! ხედავ, გამოიქცა! რაღა უნდა უთხრა ხოროს? დაეთრევი ღარიბ-ლატაკთან.

აბა, მაგას რას გამოჩინებ?

(მესამე მოქმედების მეორე სურათი).

გადამეცა ისეთივე კლემა მოსილ მეუღლისათვის, როგორც თითონაა.

ღიზა. მე... განა მე...

ანნა დმიტრ. მაპატიეთ, მე ვიცი, რომ თქვენ ამაში დანაშაული არ მიგიძღვით, მაგრამ უბედური კი ხართ. ჩემს შვილს კარგად ვიცნობ. ეხლა ის მზად არის ყოველივე აიტანოს, მაგრამ დაიტანჯება. მაგას შეურაცყოფილი სიამაყე დასტანჯავს და ბედნიერი არ იქნება.

ლიზა. მე ვიფიქრე მაგაზე.

ანნა დმიტრ. ტურფა, ლიზა. თქვენ ჰქვიანი, კარგი დედა-კაცი ხართ. თუ რომ გიყვართ, მაშინ მაგისტრის უფრო მეტი ბედნიერება უნდა გინდოდეთ, ვიდრე თქვენთვის. და თუ ასეა, მაშინ თქვენ აღარ მოიწადინებთ მაგის შებოქვას და სანანურად არ გაუხდით. თუმცა ეგ ამას არავის აგრძნობინებს, არას დროს არ იტყვის.

ლიზა. მეც ვიცი, რომ არ იტყვის. მე მაგაზე ვიფიქრე და ეგ კითხვაც მივეცი ჩემს თავს. მე სულ ვფიქრობდი და მაგასაც ვეუბნებოდი. მაგრამ, აბა, შე რა შემოძლია, როდესაც ეგ ამბობს, რომ უჩემოდ სიცოცხლე არ უნდა? ვუთხარ: ჩვენ დავრჩეთ მეგობრულად, თქვენ მოაწყეთ მეთქი თქვენი ცხოვრება, ნუ დაუკავშირებთ მეთქი თქვენ სპეტაკ სიცოცხლეს ჩემს უბედურებას. ვერ დავითანხმე.

ანნა დმიტრ. ღიახ, ესლა აღარა თანხმდები.

ლიზა. თქვენ მაგას შეასმინეთ როგორმე, რომ თავი დამანებოს და მე დავთანხმდები. მე ეგ მიყვარს მაგისტრის-ვე და არა ჩემს ბედნიერებისათვის. მხოლოდ დამეხმარეთ და ნუ გეჯავრებით, შეერთებული სიყვარულით ჩვენ ვეძიოთ მაგისი კეთილდღეობა.

ანნა დმიტრ. ღიახ, ღიახ, მე თქვენ უკვე შემოიყვარდით, (ჰკოცნის. ღიზს სტიქის) მაგამ მაინც, მაინც ეს საშინელებაა. მაგას რომ მაშინვე შეეყვარებინეთ, ვიდრე თქვენ გასთხოვდებოდით...

ლიზა. ეგ ამბობს, რომ მაშინვე ვუყვარდი, მაგრამ თურმე არ მოიწადინა ხელი შეეშალა მეგობრის ბედნიერებისათვის.

ანნა დმიტრ. ოხ, ყველა ეს მეტად ძნელია! მაგრამ მაინც გვიყვარდეს ერთმანეთი და ღმერთი დაგვეხმარება მოვიპოვოთ ის, რაცა გვსურს.

გ ა მ მ ს ვ ლ ა IX.

ანნა დმიტრაევნა, ღიზს და ვიქტორი.

ვიქტორი. (გამოვა). — დედა ჩემო. ყველაფერი მესმოდა. და მხოლოდ იმას ველოდი, რომ თქვენ ეს შეგიყვარებოდათ. და ესლა ყველაფერი კარგად მოეწყობა.

ლიზა. როგორა მწყინს, რომ თქვენ ყველაფერი გაგიგიათ, — მაშინ ხომ აღარ ვილაპარაკებდი.

ანნა დმიტრ. მაინც ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი, ყველა ეს მძიმე გარემოებანი რომ არა ყოფილიყო, მოხარულიც ვიქნებოდი... (ჰკოცნის ვიქტორს). გეთაყვათ, ნუ გამოიცვლებით მხოლოდ.

ფ ა რ დ ა.

სურათი მეორე.

ხალათ მოწყობილი ბინა: ლოგინი, საწიქი მაგიდა და დივანი (გრძელი სავარძელი).

გ ა მ მ ს ვ ლ ა I.

ფედია მარტოა; კარებს უკაკუნებენ. კარებს იქიდან მოისმის ქალის ხმა: „რას ჩაკეტისხართ, ფეოდორ ვასილევინი? ფედია, გააღე“...

გ ა მ მ ს ვ ლ ა II.

ფედია და მამა.

ფედია. (აღგება, კარებს ადებს). — აი გმადლობ, რომ მოხვედი. მოწყენილობაა, საშინელი მოწყენილობა.

მამა. რატომ ჩვენთან არ მოხვედი? კიდევ სვამ? აი შე! დამპირდა კი...

ფედია. განა არ იცი: ფულები არ არის.

მამა. ნეტავი თუ რისთვის შეგიყვარე!

ფედია. მამა!

მამა. რა, მამა, მამა? რომ გყვარებოდი, დიდი ხანია განქორწინდებოდი. შენ იქაც ხომ ამას გთხოვდნენ. თან ამბობ, მიყვარსო და მაინც იმას ებლაუჭები. სჩანს, არ გინდა.

ფედია. ხომ იცი, რატომ არ მინდა.

მამა. სისულელეა. მართლს ამბობენ, რომ შენ მსუბუქი კაცი ხარ.

ფედია. აბა, რაღა გითხრა? გითხრა რომ საწყენია ის, რასაც მეუბნები, ეს ხომ შენც კარგად იცი.

მამა. შენთვის საწყენი არაფერია.

ფედია. კარგად იცი, რომ ჩემ ყოფაში ჩემთვის ერთი რამაა სასიხარულო, — ეს შენი სიყვარული.

მამა. ჩემთვის კი არის, შენგნით კი არა.

ფედია. ახლა მე მაგაზე რწმუნებას არ დაგიწყებ. და ან რა საქირაა: შენ თითონ იცი.

მამა. ფედია, რათა მტანჯავ?

ფედია. ვინ ვისა...

მამა. (სტიქის). — შენ არა ხარ კეთილი ადამიანი.

ფედია. (მიდის და ესვება). — მამა! ეს რა ამბავია? კარგია, გაათავე. სიცოცხლეა საქარო და არა სლუკენი. ეგ სულ არ გინდება, ჩემო მშვენიერო!

მამა. გიყვარვარ?

ფედია. მამ, ვინღა უნდა მიყვარდეს?

მამა. მხოლოდ მე? აბა, წაიკითხე რა დაგიწერია.

ფედია. მოგწყინდება.

მამა. რახან შენ დაგიწერია, მოსაწონიც იქნება.

ფედია. მამ, ყური დაუგდე. (კითხულობს). „დაგვიანებულ შემოდგომისას მე და ამხანაგმა პირობა დავდეთ შეყვრილიყავათ მურიგინის მოედანზე. ბნელი, თბილი და წყნარი დღე იყო. ღრუბელი“...

გ ა მ მ ს ვ ლ ა III.

ფედია და მამა. კარებში შემოდინ მოხუცი ბოშა ივან მაკაროვიჩი და მოხუცი ბოშა ქალი ნახტასია ივანოვნა, — მამას მშობლები, ნახტ. ივან. (მიუხაჯოფდება ქაქს). — აი აქ არის წყეული, გზა აბნეული ცხვარი! ბატონს სალაში! (თავის ქაქს) შენ რას გვიშვრები ჩვენ? ა?

ივან. მაკარ. (ფედის). — ბატონო, კარგად არ იქცევით. ქალიშვილს ჰლუპავთ. ოხ, ცუდია. საძაგლობას სჩადით.

ნახტ. ივან. დაიხურე მანდილი და გამოსწი ესლავე! ხედავ, გამოიქცა! რაღა უნდა უთხრა ხოროს? დაეთრევი ღარიბ-ღატაკთან. აბა მაგას რას გამოარჩები?

მამი. კი არ დავეთრევი მე ეს ბატონი ნიყვარს და სხვა არაფერი! მე ხოროს თავს როდი ვანებებ, ვიმღვრებ ხოლმე და რაც...

ივ. მაკ. იყბედე კიდევ, თმებს დავაგლეჯ შე უნამუსო! აბა, მაგრე ვინ იქცეოდა? არც მამა, არც, დედა, არც დიდედა! ბატონო კარგი არ არის. შენ გვიყვარდი, რამდენჯერ მუქთად გვიმღერია შენთვის, გვებრალებოდი, შენ კი რა ჩაიდინე!

ნახტას. ივან. სულ უბრალოდ დამილუპე ერთად ერთი ქალი, სანატრელი, დაუფასებელი; ნებში ჩაპფალი, — აი რა ჩაიდინე. ღმერთი არა გაქვს!

ფედია. ნახტასია ივანოვნა, მაგრე ტყუილად ფიქრობ. შენი ქალი, ჩემთან ისეა როგორც და. ვიფარავ მაგის სინიდის და შენ ნუჭაფერს იფიქრებ. მხოლოდ, მიყვარს კი... რა ვქმნა?

ივ. მაკარ. აი შენ მაშინ კი არ გიყვარდა, როდესაც ფულები გქონდა. მაშინ უნდა ხოროში შეგეწირა ერთი ათი-ათასი და წამოგეყვანა, როგორც წესი და რიგია. ახლა კი ყველაფერი გაფლანგე და მოტყუებით გამოაპარე, სირცხვილია, ბატონო, სირცხვილი.

მამა. ამას არ გამოუტყუებდებოდა, მე თითონ მოველ ამასთან. ესლაც რომ წამიყვანთ, — ისევ მოვალ. მე ეს მიყვარს, მორჩა და გათავდა. ყველა თქვენ კლიტებზე უმაგრესია ჩემი სიყვარული..

ნახტ. ივან. მაშენკა, საყვარელო, ნუ სჯავრობ. შენც ხელავ კარგი საქმე არ ჩაიდინე და, — ახლა მაინც წავიდეთ.

ივ. მაკარ. აბა ჰე, კმარა ლაპარაკი. ჰაიდა! (ხეჭს წავაგებს) უკაცრავად ბატონო. (სამოგება გადას).

(შემდგვი იქნება)

გ. ახალციხელი.

